სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 21 თებერვალს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *აბილი აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №16511/06*

აპლიკანტი აზერბაიჯანის მოქალაქეა, დაიბადა 1952 წელს და ცხოვრობს ბაქოში. იგი 2005 წლის 6 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი. 2005 წლის ოქტომბერში სააპელაციო სასამართლომ მას რეგისტრაცია გაუუქმა იმის გამო, რომ ამომრჩევლებს სთავაზობდა ფულს მის სასარგებლოდ ხმის მიცემაში. კონვენციის პირველი ოქმის III მუხლზე დაყრდნობით, ბატონი აბილი ჩივის, რომ მისი კანდიდატურა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სასამართლომ თვითნებულად გააუქმა.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის III მუხლი. სახელმწიფოს დაეკისრა 7.500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1.600 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ხანჰუსეინ ალიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №19554/06*

აპლიკანტი აზერბაიჯანის მოქალაქეა, დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს ბაქოში. იგი 2005 წლის 6 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. 2005 წლის ოქტომბერში სასამართლომ მას რეგისტრაცია გაუუქმა საარჩევნო კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, რადგან ამომრჩევლებს სთავაზობდა ფულს მის სასარგებლოდ ხმის მიცემაში. კონვენციის პირველი ოქმის III მუხლზე დაყრდნობით, ბატონი ალიევი ჩივის, რომ მისი კანდიდატურა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სასამართლომ თვითნებულად გააუქმა და რომ მის წინააღმდეგ არსებული ბრალდება ეყრდნობოდა ფალსიფიცირებულ მტკიცებულებებს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის III მუხლი.

- *ბუზილო მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადი №52643/07*

აპლიკანტი სერგეი ბუზილო მოლდოვას მოქალაქეა, დაიბადა 1972 წელს და ცხოვრობს ჩიშინაუში. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით იგი ჩივის, რომ 2006 წლის ნოემბერში პოლიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს და წაიყვანეს განყოფილებაში, როგორც ქურდობაში ეჭვმიტანილი. განმცხადებელის მტკიცებით იგი სასტიკად სცემეს პოლიციის თანამშრომლებმა, თუმცა ამ ფაქტზე არ ჩატარებულა შესაბამისი გამოძიება.

სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-3 მუხლი გამოძიების ნაწილში. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *ბოუკე მონტენეგროს წინააღმდეგ – განაცხადი №26945/06*

აპლიკანტები სნეჟანა ბოუკე და კრისტინა ბოუკე დედა-შვილია (შვილი ქორწინების გარეშეა დაბადებული), რომელთაც ორმაგი მოქალაქეობა აქვთ – სერბეთისა და გერმანიის, დაიბადნენ 1951 და 1988 წლებში და ცხოვრობენ კრუშევაცში (სერბეთი). კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებლები ჩივიან, რომ ორი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც 1998 და 2005 წლებში საბოლოოდ იქნა მიღებული და რომელთა მიხედვითაც კრისტინას მამას დაეკისრა ალიმენტის გადახდა, არასდროს აღსრულებულა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- *გასიორი პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №34472/07*

აპლიკანტი ვანდა გასიორი პოლონეთის მოქალაქეა, დაიბადა 1931 წელს და ცხოვრობს კრაკოვში. 2006 წლის აგვისტოში იგი ბრალდებულად სცნეს ცილისწამებაში და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა ბოდიშის მოხდა წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა გამოქვეყნებულიყო. მან ორი წერილი გამოაქვეყნა და ბრალი დასდო ცნობილ პოლიტიკოსს იმაში, რომ ამ უკანასკნელმა სიძის სამშენებლო კომპანიას არ გადაუხადა თანხა აგარაკის მშენებლობისათვის. განმცხადებელი დაობს, რომ მიმს მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი.

- *რუპრეხტი პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №39912/06*

აპლიკანტი მარეკ რუპრეხტი პოლონეთის მოქალაქეა, დაიბადა 1969 წელს და ამჟამად იმყოფება წინასწარი პატიმრობის საკანში. იგი დააპატიმრეს 1998 წელს მკვლელობისა და ყაჩაღობის ბრალდებით. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი წინასწარი პატიმრობის ვადების გაჭიანურების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 6.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *ანტონესკუ რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №31029/05*

აპლიკანტი იონ ანტონესკუ რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1950 წელს და ცხოვრობს ბუქარესტში. 2001 წელს იგი დაინიშნა სახელმწიფო მდივნად კულტურის სფეროში. საქმე ეხება მის მიერ 2004 წელს დაწერილ ცირკულარულ წერილს, რომელიც საგაზეთო პუბლიკაციების თემად იქცა. წერილში აპლიკანტი სთხოვდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ 42 თეატრს, მოეძიებინათ ინფორმაცია ბატონ ი.კ.-სგან (რომელიც კულტურის ყოფილი მინისტრი და თეატრალების ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი იყო), თეატრებისგან შეგროვებული ფონდებისა და სხვა ფულადი თანხების შესახებ. ბატონმა ი.კ.-მ აღნიშნული მოთხოვნა მიიჩნია ცილისწამებად და მოითხოვა

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებით განმცხადებელი ბრალდებულად სცნეს ღირსების შელახვაში. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი.

- ***S.C. Bartolo Prod Com S.R.L. and Botomei რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №16294/03***

აპლიკანტი არიან რუმინეთში არსებული ორი შპს არის, რომლებიც დაფუძნდნენ 1994 წელს და მოღვაწეობენ რუმინეთში. ქალაქის საბჭომ, კუთვნილი შენობების კომერციულ ფართში უფლება მისცა განმცხადებელ კომპანიას, გაეყიდა საკვები პროდუქტი. განმცხადებელი ჩივის, რომ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, ქალაქის საბჭომ აღარ გაუგრძელა მათ ეს უფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს განმცადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 6.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 500 ევრო ხარჯების დასაფარად.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- *ნიკოლოვი ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადები №№44184/05, 22250/06 და 37182/07*
- *ბრაუნი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №10655/07*

ორივე საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო.